

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9

2016 წლის 2 სექტემბერი

ქ. თბილისი

„აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 05/01/2016; 190020020.35.102.016132) მე-17 მუხლის 1.1.3. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე, ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და ჰყავთ პირველკლასელი ბავშვები (დახმარება გაეწევა თითოეულს არაუმეტეს 35 ლარის ღირებულების სასკოლო ჩანთით).“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის (ზემო აფხაზეთის)
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

სპარტაკ გურჩიანი

